№ 226

სამშაბათი, 17 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 226

სამშაბათი, 17 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილის.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 19 ოქტომბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**პირველად**

ლექსად ნათარგმნი განდეგილის მიერ

## ვაი ჭკუისაგან

კომედ. 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნ-ნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი; ბ-ნ-ნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვანი.

**დასაწყისი 8 საათზედ.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება წარმოსადგენად „იანიჩარი“ ისტ. დრ., „დენიზა“ დრ. ალ. დიუმასი.

## ქართველ ქალთა სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძე და ნაჭროზით.

(50—5.—39) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## „ი. გოკიელოვის შვილები“

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შეიზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექმნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—10)

ს. სალარიძე ასწავლის

**ფრანგულ, იტალიანურ, გერმანულ და ინგლისურ ენებს,**

ღარიბ მსურველთ აძლევს გაკვეთილებს 4—5-დე უსასყიდლოდ.

პავლოვის ქ. № 24. (7—205—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი აბაზი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардiана**

Тифлисъ, противъ памятн. Вороцову.

## კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

## ახალი ამბავი

*** რადგანაც ამ წელს ხელმწიფე იმპერატორის ტახტზედ აბრძანება შაბათს, 21 ოქტომბერს, მოდის, როდესაც მკვდრების მოხსენებაა საეკლესიო კანონით დაწესებული, ამისათვის უწმიდესს სინოდს განკარგულება მოუხდენია ამ დღისათვის დაკანონებული საეკლესიო წესი პარასკევს, 20 ოქტომბერს, იქმნეს შესრულებული, როგორც 1895 წელს იყო.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელიც 15 ოქტომბრისათვის იყო მოწვეული, არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა. ჩვენმა ჩვეულებრივმა გულცივობამ ამ წელს ყოველს მოლოდინს გადააჭარბა: 14 ოქტომბერს აღნიშნულ საზოგადოების კომიტეტმა არტისტის დალსკის სასარგებლოდ 2,500 მან. გადაიხადა. აგერ ორი კვირაა კომიტეტს თეატრი ვერ ჩაუბარებია, რადგანაც სინათლე არ იყო, ჩვენი არტისტებიც გულ-ხელ-დაკრებილნი სხედან, თუმცა ჯამაგირები მაინც ეძლევათ, საზოგადოება ქართულ წარმოდგენების დაწყებას მოუთმენლად მოელის და საზოგადოება-კი, რომელიც ყველა ამისათვის უნდა ჰზრუნავდეს, თავს არ იტკიებს და საჭიროდ არა სთვლის გაიგოს მაინც მიზეზი ამ უთავბოლოობისა, თუ საშველად არაფერს ილონებს.

*** კვირას, 15 ოქტომბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდათ იმ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, რომელთაც მონაწილეობის მიღების თანხმობა განაცხადეს კავკასიის მომავალ სამეურნეო გამოფენის პროგრამის შემუშავებაში. კრება დაიწყო სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრის ბ-ნ გეევსკის თავმჯდომარეობით. დაესწრო 70 წარმომადგენელი. კრებას წარედგინა განსახილველად საზოგადოების საბჭოს მიერ შეკრებილი და საზოგადოების წევრთაგან საზოგადო კრებაზედ განხილული მასალა პროგრამის საბოლოვოდ შესამუშავებლად საჭირო. ბევრმა განაცხადა ამ კრებაზედ, რომ ალექსანდრეს ბაღი საკმაო არ იქმნება გამოფენისათვისაო, მაგრამ კრება ამის შესახებ ვერავითარ გარდაწყვეტილს აზრს ვერ დაადგა. მხოლოდ დაადგინა ამ საქმის გადასაწყვეტად მეორე კრება მოხდეს პარასკევს, 20 ოქტომბერს, შემდეგ კრებამ დაადგინა გაფართოვებულ იქმნას სამრეწველო განყოფილების პროგრამა, რომლის გადასათვალიერებლად ამორჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, პროგრამის სამთო განყოფილების გადათვალიერება დაევალა აგრეთვე განსაკუთრებულ კომისიას.

*** შაბათს, 14 ოქტომბერს, სავაჭრო სახლის „არზუმიანცი“-ს წარმომადგენელმა ბ-ნმა ხოსროვ არზუმიანცმა თხოვნა წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომელშიაც გამგეობასა სთხოვს, ნება მიეცეს ავლაბარსა და ქალაქის შუაგულს შორის მიმოსვლის გასაადვილებლად გამართოს ციციანოვის აღმართთან, ბორანის პირდაპირ, განსაკუთრებული მანქანა, რომლითაც მსწრაფლ შეიძლებოდეს ზევით ასვლა და იქიდგან ჩამოსვლა. ბ-ნი არზუმიანცი ამისათვის აღნიშნულს ადგილას გამართავს კოშკს, რომელიც პირდაპირ რიყის ქუჩიდგან კლდეზედ იქმნება აყვანილი ჟანდარმის ქუჩამდე; სიმაღლე ამ კოშკს 126 ფუტი ექმნება. კოშკში ორი ვაგონი იქმნება გამართული, რომლებითაც შეეძლებათ მგზავრებს ასვლა და ჩამოსვლა. თითო ვაგონში 12 კაცი ჩაეტევა. ბ-ნი არზუმიანცი აცხადებს თვისს თხოვნაში, რომ თუ ნებას მომცემთ ამ მანქანის გამართვისას, 4 თვის განმავლობაში წარმოვადგენ დაწვრილებითს გეგმასო. მანქანა ქალაქს 45 წლის შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცემა, ხოლო მანამდე არზუმიანცი ქალაქის სასარგებლოდ გარდაიხდის წელიწადში მთელის შემოსავლის $1^0/_0$. ბ-ნ არზუმიანცის განცხადებას ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში განიხილავს.

*** 13 ოქტომბერს სადგ. გრაკალსა და კასპს შუა მომხდარ უბედურობის დროს მოკლულ იქმნენ: 15 და 16 წლის ბაგრატ სტეფანოვი და ნიკოლოზ მკერვალიშვილი, რომლებსაც ბილეთი სადგ. გრაკალში აეღოთ და ტფილისში მოდენილიყვნენ. ესენი თურმე ვაგონის წინ ფარდულ ქვეშ იდგნენ და მატარებლებმა სრულიად ართმანეთს შეაჰეჭყა. მოკლულ იქმნენ აგრეთვე: არტელშჩიკის დარაჯი ანდრეი ბარსუკი, № 109 საქონლის მატარებლის ობერ-კონდუქტორი ალექსანდრე გაბუნია, რომელიც რკინის გზაზედ 25 წელს მსახურებდა; გაბუნია საშინლად იყო დამტვრეულ-დაგლეჯილი, ჯერ კიდევ ცოცხალი ამოიღეს ვაგონების ნამტვრევებიდგან, მაგრამ, როგორც-კი ჭრილობანი შეუხვიეს, მაშინვე გარდაიცვალა. გაბუნიას დარჩა: მოხუცი დედ-მამა და ძმა, რომელიც მისის ხარჯის იზრდებოდა ქუთაისის გიმნაზიაში. გაბუნიას გარდა ორი კონდუქტორი კიდევ სხვა იქმნა მოკლული: იოსებ დეკანოიძე და სამსონ ბერძენიშვილი.

დაჭრილები არიან: № 6 სახალხო მატარებლის მემანქანე ბოტტე (რომელიც ორჯელ წინადაც გადარჩა უბედურობას), № 109 საქონლის მატარებლის მემანქანე ანტონი ტატარიკი, სახალხო მატარებლის მემანქანის თანაშემწე პავლე კუჩერენკო, საქონლის მატარებლის მემანქანის თანაშემწე კონსტანტინე უთნელოვი, მიხეილის დეპოს „კოჩეგარი“ მიტროფანე ჯანელიძე, სახალხო მატარებლის მხლებელი მსახური ალექსანდრე კნიაზევი, ამავე მატარებლის ფერშალ-კონდუქტორი ხინოვი მალკინი, არტელშჩიკი გრი-

გოლ გუშჩინი, სახალხო მატარებლის კონდუქტორი იუმაშევი და მგზავრნი: ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრის მეუღლე ელენე თევდორეს ასული ჩერნიკისა, გორის მაზრის სოფ. რუისის მცხოვრები აზ. ზაქარია დეკანოზიშვილი, ქ. გუბრჩის კანცელმეისტერი რომანოზ აბრამის ძე პოგორელსკი, გრუზინსკი პოლკის კაპიტანის თავ. მაჩაბლის მსახური ქალი დარია მაყაშვილი, ტფილისის მკვიდრი მცხოვრები კონსტანტინე მიხეილის ძე ვასილიევი და სოფ. ტირძნისში მცხოვრები აზნ. ზაქარია ალექსანდრეს ძე ეგაძე; ამათ გარდა ბევრიც სხვა არის სუბუქად დაჭრილ-დაზიანებული.

*** კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის „ოტელო“. „ოტელოს“ როლს ასრულებდა ბ-ნი მ. ვ. დალსკი. პიესამ საერთოდ კარგად ჩაიარა და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა წარმოდგენისა, თუმცა ბ-ნ დალსკის გარდა ზოგი ერთი არტისტები სუსტობდნენ. ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრა. საზოგადოებამ მრავალჯერ გამოიხმო ბ-ნი დალსკი და ტაშ-ს ცემით დააჯილდოვა.

*** კვირას, 15 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, დილის 8 საათზედ დაიწყეს კენჭის ამოღება იმ ყმაწვილმა კაცებმა, რომელნიც წელს არიან გაწვეულნი სამხედრო ბეგრის მოსახდელად.—კენჭის ამოსაღებად მიწვეული იყო სულ 701 კაცი. კენჭის ამოღება კვირასვე დასრულდა. ჯარში გაწვეულ იქმნება სულ 209 კაცი.

*** 14 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე შორაპნის მაზრის სოფ. კვალითის მცხოვრების სერაფიონ ბიწაძისა და მისის მეუღლის კესარია ლაზარეს ასულის ბიწაძისა, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩიბათის მცხოვ. ქრისტინე ლაზარეს ასულის ჭყონიასი, მატა პატარაიასი და ნონიკო ჩითანას ძის ჭყონიასი, რომელთაგან სერაფიონ ბიწაძეს, ნონიკო ჭყონიას და სხვათ ის ედებოდათ ბრალად, რომ ქუთაისის ნოტარიუს აბდუშელიშვილთან ნასყიდობის წინად დადებულ პირობის შესრულების დროს ფოტინე ლაზარეს ასულის ზოიძის ნაცვლად განძრახ წარუდგენიათ კესარია ბიწაძისა, რომელსაც ზოიძის სახელი დაურქმევია და სდომებია საერთო მამულიდგან მისი ნაწილობის გასყიდვა. ამისათვის ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია სერაფიონ ბიწაძე, ნონიკო ჭყონია და კესარია ბიწაძისა, პირველისთვის გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა, ხოლო დანარჩენთათვის ღირსების ჩამორთმევით 8 თვით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** შაბათს, 14 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სოფ. ამაღლების მცხოვრების აზნაურ ალექსანდრე ლუარსაბის ძის ლორთქიფანიძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა 1899 წელს ივლისში ერმილე საბახტარაშვილისაგან 300 მანეთად ღირებულ ნივთების თხოვებით აღება და შემდეგ მითვისება, სადგურ რიონის ახლო 1899 წლის 8 ივლისს ემელიან გიორგაძის 300 მან. ღირებულ ცხენის მოპარვა და იმავე წლის 20 სექტემბერს ქ. ქუთაისში ადრევე მოფიქრებით ხოლო გაანჩხლების გამო პოლიციის მოხელის ერმილე გუგუშვილის მოკვლის განზრახვა, რომელსაც სამჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ შემთხვევით მხოლოდ ერთი ტყვია მოხვდა და მცირედ დაიჭრა. პირველად ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო აზ. ალექსანდრე ლორთქიფანიძე და გარდაუწყვიტა ყოველისავე პირადად თუ წოდებრივად მოპოვებულ უფლებათა ჩამორთმევა და ოთხის წლის ვადით კატორგაში გაგზავნა. ლორთქიფანიძემ ოლქის სასამრთლოს განაჩენი განასაჩივრა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც 14 ოქტომბერს დაასტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** მოგზაური ქალი ქ-ნი პრეობრაჟენსკაია 2 ს აგვისტოს ყაზბეგის მთაზედ ასულა.

*** გაზ. „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელი ქ-ნი ანასტასია თუმანოვ წერეთლისა ასკანის სოფლის საზოგადოების მწერალს ყარამან ნინიძეს სას. დებ. 1039 მუხლის ძალით სისხლის სამართლის პასუხის გებაში მიუცია ერთის კორესპონდენციისა გამო, რომელიც აღნიშნულს გაზეთში იყო დაბეჭდილი და რომელიც მომჩივანის სიტყვით, მისს პატიოსნებას, კეთილს სახელსა და ღირსებას შეურაცხ-ჰყოფდა („ტფილ. ფურც.“)

*** როგორც გაზ. „ახალ მიმოხ.“-ს ატყობინებენ, ქ. სიღნაღში ქალაქის რწმუნებულთა არჩევანი 11 სექტემბერს მომხდარა. აურჩევიათ მხოლოდ 12 რწმუნებული. დანარჩენ 2 რწმუნებულისა და 3 კანდიდატის არჩევანი 15 ოქტომბერს იქნებაო.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „Домъ трудолюбія Р. А. Іоанисіани“, რომელიც ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოს ოქროს მედლის ღირსად უცვნია. ავტორს უსარგებლნია რუსულს ენაზედ არსებულ ყველა შესანიშნავის შრომით, ასეთივე წყაროებით ფრანგულსა და გერმანულს ენაზედ და თავისს შრომის ბოლოში ჩაურთავს სამაგალითო წესდება შრომის მოყვარეობის სახლებისათვის მზრუნველ საზოგადოებათა. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 97 გვერდსა და ღირს 60 კაპ.

*** ს. ვეზათი (სენაკის მაზრაშია). 8 ოქტომბერს დილის 9 საათზედ აქ შემდეგი უბედურება მოხდა: ადგილობრივ მცხოვრებ მღვდლის ერ. ჯიბლაძის ვაჟიშვილს 5 წლ. და რამდენიმე თვისას ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა. აი, ეს როგორ მომხდარა: დილით, როდესაც ემაწვილს გამოღვიძებია, შეუნიშნავს, რომ საცვალი სველი ჰქონია, წამომდგარა და სამზარეულოში შესულა იმ დროს, როდესაც იქ არავინ ყოფილა და ცეცხლს მიჰჯდომია იმ აზრით, რომ სველი საცვალი ტანზევე გაეშრო; ამ დროს როგორღაც საცვლის ცეცხლის ალი მოსდებია და აპრიალებულა. ბავშვს საზარელი ყვირილი დაუწყვია; ამ ხმაზედ დედა სახლიდგან გამოვარდნილა თავბრუ დასხმული, გაქანებულა და ცეცხლ-მოკიდებული შვილი თავისს კაბის კალთაში გაუხვევია და მით გაუქრია ცეცხლი. მაგრამ, მოგეხსენებათ, სოფლად ისეთი საშუალებები არ არის, რომ ასეთს უბედურ შემთხვევას უცებ ეშველოს. სანამ სადგურ აბაშიდგან მკურნალს მოიყვანდნენ და მერე აფთიაქიდგან წამლებს მოიტანდნენ, საბრალომ მეორე დღეს სული განუტევა.

*** შაბათს, 14 ოქტომბერს, კნეინა ელენე ხერხეულიძისამ გამოუცხადა პოლიციას, რომ ჩემ შინ არ ყოფნის დროს, სექტემბრის თვის განმავლობაში, ჩემმა შვილმა, ივანე ხერხეულიძემ, 18 წლისამ, მოიპარა სხვა-და-სხვა ნივთები სულ 128 მან. და 20 კაპ. და სადღაც გაფლანგაო.

*** შაბათს, 14 ოქტომბერს, პოლიციის მე-7 ნაწილში, ნაშუადღევის 4 საათზედ, კახეთის მოედანზედ პოლიციის მოხელეს შეუნიშნავს ფარნებ ჩაქრობილი მიმავალი ეტლი № 529, რომელშიაც ორი კაცი მსხდარან რაღაც შეკრულ ნივთებით. ეტლს შეუხვევია ფერისცვალების ქუჩაზედ. მოხელეს შეუტყობინებია მეორე მოხელისათვის, ერთად გაჰყოლიან საეჭვო მიმავალ ეტლს და უნახავთ ორი კაცი, რომელნიც აღაბეგოვის სახლთან ეტლიდგან ძირს იღებდნენ თურმე 11 სადღაც მოპარულ დიდს ხალიჩას. ქურდებმა დააპირეს გაქცევა, მაგრამ მალე იქმნენ დაპატიმრებულნი. ქურდები აღმოჩნდნენ ერთი გორის მაზრის სოფელ ახალდაბას მცხოვრები გლეხი არჩილ იოსების ძე ბლიაძე და მეორე დაბა სურამის—სერგო ალექსანდრეს ძე შჩიგროვი. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

## წერილი ს. ტობანიერიდგან

სექტემბრის უკანასკნელს რიცხვებში აქეთ მშვენიერი თბილი დღეები და მთვარიანი ღამეები დაიჭირა. ჭირნახულის შეკრება ერთ კვირაზედ მეტია რაც დაიწყეს; დღეს აგერ 5 ოქტომბერია და ნახევარი სიმინდები ყველგან სდგებულა; ერთის კვირის განმავლობაში კიდევაც მოთავდებოდა, რომ ამ ბოლოს დროს ამინდს არ შეეშალა ხელი. სიმინდის გამოსავალი წელს კარგია და ყველა ემადლიერება, ღვინო კი მთლად მოისპო. ზემო-იმერეთიდგან ჩალვადრებს ჩამოაქვთ მაჭრები, მაგრამ ეხლავე ფუთი 2 მან. 60 კაპ. ფასობს. აქედგან სჩანს, რომ ღვინო, შედარებით წინა წლებთან, მეტად ძვირი იქნება წელს. ძველი სიმინდი ფუთი 45 კაპ. არის, ახალის ნიხრი ჯერ არ დაწესებულა, თუმცა მედუქნეებმა ეხლავე დააწესეს ნიხრი ტარო სიმინდზედ: ოთხ-ხუთ ტარო სიმინდს სოფლის ბიჭებისაგან ერთ კაპეიკათ ყიდულობენ, რის გამოც სიმინდის ტაროს ქურდობა მეტად გახშირდა. საჭიროა მედუქნეებს, ვისგანაც ჯერ არს, აეკრძალოს სიმინდის ტაროთი ვაჭრობა, თორემ გაანადგურეს ბიჭებმა საწყალი მუშა კაცის ნამუშევარი. მუშაც მეტად გაძვირდა ჩვენსკენ: წარსულს წლებში საუკეთესო მუშა საჟენი ცხრა ათი მანეთი ღირდა, დღეს-კი ადარც იშოვება და, სადაც არის, 13—14 მან. ფასობს; ამისი მიზეზი ის გახლავთ, რომ ტყეებს აქეთ ძირზედა სჭრიან შეშისათვის, რის გამოც თან-და-თან ისპობა ტყეები. ამ უკანასკნელის ორი წლის განმავლობაში დ. სამტრედიაში აუარებელი შეშა გაიზიდა, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი შეშის გაძვირებას. გზები ჯერ-ჯერობით გვარიანია ჩვენკენ. სოფლის მოხელეები ისევ ძველები გვყავს, რადგანაც არჩევანი ჯერ არ ყოფილა. ახალი ის არის ჩვენკენ, რომ ჩვენს კუთხეს კიდევ მოემატა ერთი დილიჟანსი ტობანიერის ამხანაგობისა, რომელიც დ. სამტრედიაში დღეში ერთხელ მიდის; ამგვარად სამტრედია-ტობანიერის გზაზედ ეხლა სამი დილიჟანსი დაიარება.

სექტემბრის 5 ს აქაურ ორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელში ახალის მოსწავლეების მიღება იყო დანიშნული; მთხოვნელი გამოცხადდა 100-ზედ მეტი, ადგილი-კი სულ 30 იყო; ხალხი იხვეწებოდა, რომ კენჭით მიღება არ მომხდარიყო და ისე როგორმე მიგვეღო ყველა. მაშინ სასწავლებლის ზედამხედველმა გამოუცხადა ხალხს, რომ ყველანი დაკმაყოფილებული იქნებიან, თუ თითოეული მამა, იმ ფულებს გარდა, რომელიც მათ განაჩენის ძალითა ჰხდებათ, კიდევ შემოიტანს წლიურად ორ-ორ მანეთს, რომლითაც მოწვეული იქნება ერთი მასწავლებელი თანაშემწე საპარალელო განყოფილებისათვისო. დიდი დახმარება გაგვიწია ამ საქმეში აგრეთვე ბლაღოჩინმა მღვდელმა იუსტინე მამფორიამ, რომელმაც მშობლები გაამხნევა და მაშინვე ყველა თანახმა გახდა, მოაწერეს განაჩენზედ ხელი და იწყეს ფულის წარმოდგენა. მიღებულ იქმნა სულ იმ დღეს 104 მოსწავლე და მასწავლებელიც დაინიშნა საპარალელო განყოფილებისათვის. პირველი კლასის შენობაში მასწავლებლის ორი მოზრდილი ოთახი საპარალელო კლასად იქმნა გადაკეთებული, მასწავლებლებს-კი მეორე კლასის შენობაში მიეცათ. დღეს ჩვენს სასწავლებელში 180 მოსწავლე სწავლობს, მასწავლებელი კი ოთხია. სასწავლებლის შენობის გადატანა არ იქნა, ჯერ კიდევ არ მოხერხდა: ხალხმა დაადგინა განაჩენი, რომლითაც გარდასწყვიტა მდინარე ყუმურის ნაპირების გამაგრება; მამასახლისის თაოსნობით შეუდგნენ კიდეც მუშაობას; მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ საქვეყნო საქმე, ზოგმა სარი მოიტანა, ზოგმა ბოძი, ზოგმა წნელი, ვისაც როგორ ჰსურდა ისე დაასო აქეთ იქით და გაუდგა გზას; მამასახლისმაც ყურადღება ვეღარ მიაქცია, თან მათ ზოზინში სიმინდის ტეხის დროც მოვიდა და მიანებეს თავი; რაც უნდა შრომა გასწიოს საზოგადოებამ, მდინარეს მაინც ვერ მოერევიან და შენობები ისევ გადასატანი იქნება. აქვე 80 საჟენის დაშორებით, გზის პირად, საკმაო ადგილია, სადაც სასწავლებლის შენობაც მოთავსდება და სამეურნეო განყოფილებისათვისაც ადგილი დარჩება. მებადეც გვემოვება აქაური, რომელმაც წელს დაამთავრა სწავლა ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში. იმედია, ამ საქმეში მთავრობაც დახმარებას აღმოგვიჩენს.

ვლადო ბზვანელი

# რუსეთი

რუსეთის გაზეთების სიტყვით, რუსეთის ცნობილს მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის ახალი დრამა დაუწერია, რომელსაც სახელად „გვამი“ თურმე ეწოდება.

—გზათა სამინისტრო ამ ჟამად იმ წესთა შემუშავებას შესდგომია, რომლებითაც ყველა რკინის გზა მოვალეა რკინის გზათა ყველა ლიანდაგს დეპეშით აცნობს ხოლმე, თუ სადმე ან მიმოსვლა შესწყდა, ან და შემცირდა.

—ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარს საგანგებო კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა, თუ ქარხნებსა, ფაბრიკებსა და სხვა სამრეწველოებში როგორი სამკურნალო დახმარება უნდა აღმოუჩინონ ხოლმე მუშებს ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონებმა, დაუდგენია: 1) გამართონ ავადმყოფთა მისაღები სამკურნალოები; 2) უფასოდ გასინჯონ ხოლმე ავადმყოფები და უფასოდვე აძლიონ წამლები; 3) დაუძლურებული და დასნეულებული ავადმყოფები საავადმყოფოებში დააწვინონ და თავისს ხარჯით უწამლონ და მოუარონ, მაგრამ ჯამაგირიდგან არა გამოურიცხონ-რა; ხოლო იმ სამრეწველო სახლებში, სადაც ქალებიც მუშაობენ, იქონიონ აგრეთვე სამშობიარო სახლები, სადაც მუშა-დედაკაცებს შეეძლებათ მოილოგინონ.

— რუსეთის ერთს პროფესორს მკურნალს განზრახვა თურმე აქვს გულსუსტ და ჭლექიან ავადმყოფთა წამლობის გასაადვილებლად შეადგინოს საზოგადოება, რომელსაც აზრად ექნება ამ გვარ ავადმყოფთათვის ისეთივე სპეციალური სამკურნალოები და სანატორები გამართოს, როგორებიც შვეიცარიაშია. აღნიშნულ სამკურნალოებისა და სანატორების დიდი ღირსება ის იქნება, რომ ჯერ ერთი ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი იქმნება და მეორეც—ბავშვებისათვის ცალკე იქმნება გამართული და დიდებისათვის ცალკე.

— უმართებლესს სენატს პრინციპიალურად გარდაუწყვეტია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქმრება ცოლებს სასტიკად ეპყრობიან, სოფლის საზოგადოებათ შეუძლიანთ საცხოვრებელი ბილეთები, ე. ი. პასპორტები, აძლიონ ასეთს ცოლებს, რომ სამუშაოდ სხვაგან წავიდნენ და თავი ირჩინონ.

— განზრახვა აქვთ რუსეთის ყველა რკინის გზებზედ სამარხი კასსები დააარსონ.

— ტყუილია ის ხმა, ვითომ სახელმწიფო ხაზინა გაჭირვებული იყოს და ამის გამო განზრახვა ჰქონდეთ სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში შტატები შეამოკლონ.

— ფინანსთა სამინისტროსთან მალე შეუდგება მუშაობას ის კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს საფაბრიკო ინსპექციამ სახელოსნო სახლებსა და ამათ შეგირდებზედ რა მეთვალყურეობა უნდა იქონიოს.

— გზათა სამინისტრომ რუსეთის ყველა რკინის გზას ბრძანება გაუგზავნა, რომ პატიმართა წასაყვანად დანიშნულს ვაგონებს კლიტე-გასადებები მუდამ მთელადა და მოწყობილი ჰქონდეს და გასადებები სადგურის უფროსმა მხოლოდ პატიმართა ჩასხდომის წინად გადასცეს ხოლმე „კანვოის“ უფროსს, რომელიც მოვალეა თავისს მხრივ გასადებები დაუყოვნებლივ სადგურის უფროსსვე გადასცეს, როგორც-კი მატარებელი დანიშნულს ადგილას მივა და პატიმარნი გადმოსხდებიან.

— მალე პეტერბურგში (2 ნოემბერს) რუსეთის რკინის გზებისა და ნაოსნობის წარმომადგენელთა მე-XII კრება იქნება მოწვეული. კრებაზედ მოიწვევენ იმ რკინის გზებისა და ნაოსნობის წარმომადგენელთ, რომელთაც კავკასია-კასპიის მხარესთან პირდაპირი მიმოსვლა აქვთ.

# უცხოეთი

ჩინეთი. კანტონის ვიცე-კოროლს ჩანჩიტუნგს პროკლამაცია გამოუცია, რომელშიაც ჩამოთვლილია ის მიზეზები, რა მიზეზებისა გამოც ეს ვიცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოროლი რეფორმათა საზოგადოების წინააღმდეგ მოქმედებდა. ხელთ ჩავიგდეთ მრავალი საბუთის ქაღალდით, ნათქვამია, სხვათა შორის, პროკლამაციაში. — ამ ქაღალდებიდგანა ჩანს, რომ რეფორმების მომხრეთ სხვა საიდუმლო საზოგადოებასთან ერთად აზრადა აქვთ გადააყენონ მანჯურიის დინასტია და საშუალო და სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციათაგან დამოუკიდებელი იმპერია შექმნან. ეს ამბოხება ძალიანა ჰგავს ტაიპინგესის ამბოხებასაო. უმთავრესი ბინა რეფორმატორებს, როგორც ვიცე კოროლი აცხადებს, შანჰაიში ჰქონიათ. ჩანგჩიტუნგს ელჩებისათვის გაუგზავნია სია მეამბოხეთა მეთაურებისა და უთხოვნია, დაგვეხმარეთ ამ კაცების დაჭერაშიო. „Morning Post.“-ის კორესპონდენტი უმატებს ამ ამბებს, რომ ინგლისი არ უნდა ჩაერიოს ამბოხებაში და მანჯურიას მხარი არ უნდა დაუჭიროსო. კორესპონდენტის სიტყვით, ეს ამბოხება ბევრით გადააჭარბებს ტაინინგების ამბოხებას.

— როგორც დეპეშით ნიუ იორკიდგან იუწყებიან, ადგილობრივ გაზეთ „New Iork Herald“-ში საყურადღებო წერილია თურმე დაბეჭდილი. წერილის ავტორი ამტკიცებს თურმე, რომ რუსეთს აზრადა აქვს სახელმწიფოთა კონცერტიდგან გამოვიდეს. „პეტერბურგ-დგან გვატყობინებენ, — სწერს გაზეთი, — რომ რუსეთმა მტკიცედ გადასწყვიტა, სხვა სახელმწიფოებს ყურადღება აღარ მიაქციოს და ჩინეთში მხოლოდ თავის კერძო საქმეების მორიგებას შეუდგეს. რუსეთს უნდა კერძოდ მოელაპარაკოს ჩინეთს და ისეთი ხელშეკრულება დასდოს იმასთან, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოთ, განსაკუთრებით გერმანიის პოლიტიკას“.

—

**ინგლისი და გერმანია.** ინგლის-გერმანიის ახალ ხელ-შეკრულებას, რომელიც ჩინეთის საქმეებს შეეხება, დიდის სიხარულით მიეგებნენ ორსავე სახელმწიფოს ჟურნალ-გაზეთები. „Berliner Tageblat“-ი სწერს, რომ სიბნელე, რომელიც აქამდე ჩინეთის საქმეებში სუფევდა, ამიერიდგან ამ ხელ-შეკრულების წყალობით გაიფანტებაო. ორი ძლიერი სახელმწიფო საჯაროდ გარკვეულ პოლიტიკას დაადგა, იმ პოლიტიკას, რომელიც მოითხოვს, რომ ჩინეთში ვაჭრობა ყველას შეეძლოს და ჩინეთის რომელისამე ნაწილის დასაკუთრების, დაპატრონების ნება არავისა ჰქონდეს. კერძოდ ჩვენ, გერმანიის, ვაჭრობას ეს ხელშეკრულება მეტად დიდ სარგებლობას მოუტანსო.

„Vossische Zeitung“-ი ამბობს: ხელ-შეკრულების არც ერთ მუხლში მოულოდნელი და ახალი არაფერია. იგი აღიარებს ისეთ პოლიტიკას, რომლის ძალითაც ჩინეთი ყველა ერისათვის ღია უნდა იყოს. ხოლო ინგლისმა და გერმანიამ ეს ხელ-შეკრულება თავიანთ ინტერესების დასაცველად დასდეს და აგრეთვე ჩინეთის მიწა-ადგილის დასაცველად, თუ ვინიცობაა რომელიმე სახელმწიფომ მოისურვა ამ ადგილების დასაკუთრება, მითვისება. რადგანაც დიდმა სახელმწიფოებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ მიწა-ადგილის შეძენა არა გვსურს ჩინეთშიო, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლის-გერმანიის ხელ-შეკრულებას სხვა სახელმწიფონიც მიუდგებიან. განსაკუთრებით საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ შეჰხედავს ამ საქმეს რუსეთიო.

„Kölnische Zeitung“-ის აზრით ახალ ხელ-შეკრულებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექმნება. „უკვე რამდენიმე თვეა, სწერს გაზეთი, გერმანიის დიპლომატიურ წრეებში შიშს აცხადებდნენ იმის გამო, რომ მდიდარმა იან-ძეს ოლქმა, თუ ამბოხებამ დიდხანს გასტანა, უთანხმოება არ გამოიწვიოს დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორისაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა სახელმწიფონი შეიწყნარებენ ამ ხელ-შეკრულებას, რომელსაც აზრად მხოლოდ ეკონომიურის ინტერესების დაცვა აქვს“.

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ვუწყით, მთავარ-სარდალმა რობერტსმა ამას წინად გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებდა, რომ ბურები დამარცხდნენ, რომ მათ ჯარი აღარა ჰყავთო. ამის გამო ბურების ჯარის წინამძღოლს გენერალს ლუი ბოტას შემდეგი წერილი გაუგზავნია რობერტსისათვის: „მე უარსა ვყოფ და წინააღმდეგობას ვაცხადებ თქვენ სიტყვების გამო, ვითომ ჩვენ ჯარი აღარა გვყავს, ვითომ ჩვენი მეომარნი ეხლა მხოლოდ მძარცველთა ბრბოებს წარმოადგენენ. იცოდეთ, რომ ჩვენ უწინდელებრ გვყავს ჯარი და ამ ჯარს უწინდელებრ ჩვენი გენერლები უფროსობენ. რაც შეეხება თქვენ ბრძანებას, გადასწვან და გაანადგურონ ბურების ფერმები, განდევნონ და ულუკმა-პუროდ დასტოვონ ჩვენი დედაკაცები და ბავშვნი, ამ ბრძანების გამო მხოლოდ ის შემიძლიან ვთქვა, რომ პირველად ვხედავ ამგვარ ფაქტებს, პირველად მესმის, რომ ორ განათლებულ სახელმწიფოს ომის დროს ასეთ ბარბაროსულ საშვალებებს ხმარობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეს უსპობთ ჩვენ ბავშვებსა და ქალებს, ჩვენ მაინც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას თავს არ გავანებებთ“.

— კაპშტადტიდგან იუწყებიან, რომ ბურების რაზმი, რომელიც 5 ათას კაცისაგან შესდგება, ბლუმფონტენისაკენ მიდისო. ეს რაზმი ახლად შესდგა თურმე ორანჟეს რესპუბლიკის დასავლეთით. რაზმმა უკვე მიაღწია თურმე სოფელ მინოგს, რომელიც ბლუმფონტენიდგან 20 კილომეტრის მანძილზედ მდებარეობს. ჯარი მშვენივრად არის თურმე შეიარაღებული. სურსათიც საკმაო აქვს. მეორე დეპეშა კიდევ იუწყება, რომ ბურებმა ზედ პრეტორიასთან დიდად გაუჭირეს საქმე რობერტსსო. მთავარ-სარდალი იძულებული გახდა მთელი თავისი ჯარი კომატიპოსტიდგან პრეტორიაში გაეგზავნა თურმე ბურების გასადევნად. 85 მატარებელი მოუნდა ჯარს.

—

**საფრანგეთი.** 6 ოქტომბერს პარიჟში, ვაჭრობის მინისტრის მილიერანის თავმჯდომარეობით, გამართულ იქმნა ნადიმი იმ მუშათ თვის, რომელნიც პარიჟის მსოფლიო გამოფენის მოწყობაში იღებენ მონაწილეობას. ნადიმს ყველა ეროვნების მუშები დაესწრნენ, რიცხვით 1500 კაცი. მილიერანმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც შეაქო მუშათა ერთობა და განაცხადა, თქვენ ყველაზედ მეტი შრომა მიგიძღვით ამ სამსოფლიო დღესასწაულის გამართვაშიო. საუკეთესო შედეგი გამოფენისა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნის მუშების ერთმანეთის გაცნობა და დაახლოვებააო.

— საფრანგეთში მოუთმენლად მოელიან ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს. დიდი მზადება აქვთ თურმე იმის დასახვედრად. მშვიდობის მოყვარე კომიტეტმა საფრანგეთის პრეზიდენტს მიჰმართა და სთხოვა, საფრანგეთმა შუამდგომლობა იკისროს ინგლის-ტრანსვაალის საქმეში და, როდესაც კრიუგერი ჩამოვა, მოლაპარაკებას შეუდგეს. ამას გარდა მარსელში, სადაც კრიუგერი ჩავა, აზრადა აქვთ ნადიმი გამართონ, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა დელეგატები უნდა დაესწრნენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთი ბრესლაველი პროფესორი, გეოლოგი ფრეხი, სცდილობს გამოიანგარიშოს თვითეულ სახელმწიფოს რამდენ ხანს ეყოფა ის ქვა-ნახშირი, რომელიც ამ სახელმწიფოების მიწა-ადგილში მოიპოვება. როგორც ვუწყით, ყველაზედ მეტი ქვა-ნახშირი ინგლისიდგან გააქვთ. პროფესორი ამბობს, რომ ინგლისს სხვებზედ ადრე შემოაკლდება ქვა-ნახშირიო. დერგამსა და ნორტუმბერლენდს (ინგლისშია), საქსონიასა და ჩეხიას ქვა-ნახშირი 100—200 წელს ეყოფათ, ინგლისის სხვა ადგილებსა და საფრანგეთის შუაგულს—200—300 წელს. ვალდენბურგის (გერმანიაშია) მადაროების ქვა-ნახშირი 300—400 წლამდე არ გამოილევა, ჩრდილოეთ საფრანგეთისა—600—800 წლამდე, სამხრეთ საფრანგეთისა, რეინის ოლქებსა, ბელგიასა, სილეზიასა, მორავიასა და პოლონეთში—1000 წლამდე. ამ რიგად ევროპაში ქვა-ნახშირით გერმანია ყველაზედ მდიდარია. ევროპის გარედ ყველაზედ მეტი ქვა-ნახშირი ჩრდილოეთ ამერიკასა და ჩინეთში (შანსის პროვინციაში) მოიპოვება. იქ იმდენი ქვა-ნახშირია, რომ პროფესორის ფრეხის აზრით, რაც უნდა ბევრი გაზიდონ, 30—40 საუკუნეს მაინც გასწვდება.

* * *

პირველ ოქტომბერს კიევში მისულა ერთი ამერიკელი მოგზაური კაპიტანი ემილ პოლიგი. პოლიგს სან-ფრაცისკოში სანაძლეო დაუდვია, რომ 4 წელიწადსა და 6 თვეში დედამიწის გარშემო შემოივლის ფეხით. ამასთან პოლიგს თან ფული არ წამოუღია არც ერთი კაპეიკი. თავი მხოლოდ იმ ლექციების შემოსავლით უნდა ირჩინოს, რომლებსაც გზაში წაიკითხავს. ეს მოგზაური სან-ფრანცისკოდგან 1897 წლის 20 ოქტომბერს გამოსულა, მაშასადამე, უკანვე 1902 წლის 20 აპრილს უნდა დაბრუნდეს. იმედი აქვს თურმე, რომ უფრო ადრეც დაბრუნდება. კაპიტან პოლიგს უკვე გაუვლია ფეხით ამერიკა, აფრიკა, დასავლეთი ევროპა, რუსეთის ნაწილი. ბევრგან დიდი წვალება გამოუვლია მგზავრს. სხვათა შორის, ინდიელებს ტყვედ ჩაჰვარდნია და კინაღამ მოუკლავთ. პოლიგს აზრადა აქვს კიევში რამდენიმე ლექცია წაიკითხოს თავისს მგზავრობის შესახებ.

* * *

შეერთებულ შტატების მომავალ საპრეზიდენტო არჩევანებში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ოთხის შემდეგის შტატის დედაკაცებიც: კოლორადოსი, უტახისა, ვაი-მინგისა და იდაგოსი. პირველ სამ შტატში ქალებს ამომრჩევლობის უფლება 1896 წლიდგანა აქვთ მინიჭებული, ხოლო იდაგოში წელს ქალები პირველად იღებენ არჩევანებში მონაწილეობას. წინა წლების მაგალითმა დაამტკიცა, რომ დედაკაცებს მაგრე რიგად არ აინტერებს პოლიტიკა. წელსაც ძალიან ცოტანი გამოცხადებულან სიების შესადგენად. ამას გარდა დედაკაცნი უმეტეს ნაწილად იმ დასს ემხრობიან, რომელსაც ნათესავი მამაკაცნი. ცოლები, მაგალითად, ქმრების მაგალითს მისდევენ, ახალგაზდა გასათხოვარი ქალები მამებისა და ძმების მაგალითს. როდესაც პირველად საარჩევანო უფლებანი მიანიჭეს ქალებს, მათ დიდი მხნეობა გამოიჩინეს და გულ-მხურვალე მონაწილეობა მიიღეს; მაგრამ შემდეგ მოჰბეზრდათ, ასე რომ დღეს ცოტანი-ღა ერევიან ამ საქმეში. თვით დედაკაცთა შორის შესდგა ძლიერი დასი, რომელიც წინააღმდეგია ქალების არჩევანებში მონაწილეობისა. ეს დასი ამტკიცებს, რომ დედაკაცის საქმე ოჯახია, ოჯახის პატრონობა და შვილების მოვლა. იმ ოთხ შტატში, სადაც არჩევანების უფლებანი აქვთ მინიჭებული ქალებს, არსებობს განსაკუთრებული კლუბები ქალებისათვის როგორც რესპუბლიკანური, აგრეთვე დემოკრატიული. მთავარი კლუბი დენვერშია (კოლორადოს შტატში). ამ კლუბის თავმჯდომარედ ქ-ნი კლეკია, რომელსაც მთელი ამერიკა იცნობს, როგორც მხნეს და მშრომელს ადამიანს.

* * *

გაზეთები ძალიან ბევრსა სწერენ გერმანიის ახალ კანცლერის ბიულოვის შესახებ. სხვათა შორის, იმასაც იკვლევენ, რა ჯიშისაა ეს გვარი. ბიულოვი სლავიანთა შთამომავალია და გერმანიის ერთ უძველეს გვარს ეკუთვნის. ისტორია ამ გვარისა 1154 წლიდგან იწყება. უწინ ბიულოვები მეკლენბურგ-შვერინის საჰერცოგოში სცხოვრობდნენ. საშუალო საუკუნეში ბიულოვები ჰანოვერში დამკვიდრდნენ. 1694 წლის შემდეგ მათ მამულები შეიძინეს ბრანდერბურგსა, სილეზიასა, პრუსიასა, დანიასა, შვეციასა და კურლიანდიაში. შემდეგ ეს გვარი რუსეთსა და ავსტრიაშიაც გაჩნდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** მუკდენის აღების შესახებ შემდეგს დაწვრილებითს ამბებს იტყობინებიან: 30 სექტემბერს ქალაქის მართვა გამგეობის საქმე საბოლოოდ მოეწყო; ქალაქი გაყოფილ იქმნა ოთხ ნაწილად. თვით მუკდენში დღემდის რუსებმა ხელთ იგდეს 50 ზარბაზანი ახალის სისტემისა, უმთავრესად კრუპპისა და მაქსიმისა, უნიტარული ყუმბარები—2,000, ჩვეულებრივი საარტილერიო ყუმბარები—6,000-მდე, 7,000-მდე თოფი, რომელთაგან ნახევარი მაუზერის სისტემისაა, თოფის პატრონა—20 მილიონამდე და რამდენიმე ათიათასი ფუთი წამალი. დაინიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა აღნუსხოს, რა განძი გადარჩა ჩინეთის ჯარის-კაცების გაძარცვას, უმთავრესად საარქეოლოგიო ნივთებიდგან. გადაარჩინეს მანჯურიის დინასტიის იმპერატორების ტახტი და აგრეთვე უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელშიაც მრავალი ხელთ-ნაწერები და სურათებია. ყველა ამას ბეჯითად იცავენ, თუმცა საშიშია ფანატიკოსებმა ცეცხლი არ წაუკიდონ. აღმოჩნდა, რომ ოთხასი ჩინელი ქრისტიანი ცოცხალი გადარჩენილა მოკრივეთა ხოცვა-ჟლეტასა.

**პეკინი.** რადგანაც ინგლისის ელჩი სატოუ ჩამოვიდა და აგრეთვე აქ არიან გერმანიისა და რუსეთის ელჩები, დაუყოვნებლივ ზომები იქმნა მიღებული მშვიდობიანობის ხელშეკრულობაზედ მოლაპარაკების დაწყებისათვის. ხვალ დიპლომატთა საზოგადო კრება მოხდება, რომელზედაც მოქმედების საზოგადო გეგმას შეიმუშავებენ.

კან-ის გარდაცვალება ოფიციალურადა მტკიცდება.

**ტიან-ძინი.** როგორც იაპონიის წყაროები იუწყებიან, ჩინეთის ქვრივი დედოფალი მძიმედ ავად გამხდარა ტაენფუნში, სადაც ჩინეთის გამოჩენილი მკურნალები მიუწვევიათ.

ტიანძინში ოთხშაბათს ევროპიელებმა სიკვდილით დასაჯეს ექვსი „მოკრივე.“

გერმანიის ცხენოსან ჯარისათვის გუშინ ცხენები მოიყვანეს.

გენერალმა კემპბელმა ახალი ჯარების გამოგზავნა მოითხოვა. ცხადია, პაოტინფუზე გალაშქრება უფრო ბევრს ხანს, გასტანს, ვიდრე წინადა ფიქრობდნენ.

**პეტერბურგი.** ბირჟა, 13 ოქტომბერს *). ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლები—93 მან. მყიდვ., $4\frac{1}{2}\%$—$85\frac{3}{4}$ მ. მყიდვ., ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის 6% გირავნობის ფურცლები $101\frac{1}{2}$ მ. გამყიდ., 5%—94 მ. მყიდველისათვის.

15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ჩერნოგორიის თავადის კარზე მინისტრ-რეზიდენტთან მყოფი გუბასტოვი პაპთან დაინიშნა რომში მინისტრ-რეზიდენტად.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან, რომ რამდენისამე დღის განმავლობაში დევეტის ჯარების მოქმედებით შეწუხებულმა ბარტონმა დილით მტერზედ იერიში მიიტანა და მთლად გაჰფანტაო იგი. ინგლისელთაგან მოკლულია ერთი ოფიცერი და 6 ჯარის-კაცი. 51 ჯარის-კაცი დაჭრილია. ბურებს მოუკლეს 24 კაცი, დაუჭრეს 19; 26 ტყვედ წამოიყვანეს; თავს უშველეს მხოლოდ ერთმა ოფიცერმა და 60 ცხენოსანმა.

**ლონდონი.** ჩინეთის საელჩოში დეპეშა მოვიდა 3 ოქტომბრიდგან გამოგზავნილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ქვრივი დედოფალი ტიუნგუანში (ყვითელ მდინარეზეა) მოვიდა და იმპერატორის სახლობა ჯერ კიდევ იქ არის. საელჩოს ცნობა არ მოჰსვლია დედოფლის ავადმყოფობის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ ეს ცნობა წინად არის გაგზავნილი, ვიდრე იმპერატორის სახლობა ტაიენფუდგან წავიდოდა და ამიტომ ისე არ უნდა გვესმოდეს, ვითომ იმპერატორის სახლობა ტაიენფუშივე დაბრუნებულიყოს.

**პეკინი.** ელჩთა დღევანდელს კრებაზედ დელკასეს წინადადება ხელახლად განიხილეს და საჭიროდ სცნეს უმთავრეს დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა მოითხოვონ. დადგენილ იქმნა, რომ ცინისა და ლიხუნჩანგის უკანასკნელს ნოტაზედ პასუხი არ გაიგზავნოს.

ტიან-ძინიდგან მოსულ ცნობებით, ინგლის-გერმანიის რაზმი ემზადება იერიში მიიტანოს ტიან-ჯოუს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პოზიციაზედ, სადაც „დიდი მუშტისა“ და ჩინეთის გაფანტულ მუდმივი ჯარის 10,000 კაცია შეკრებილი. საფრანგეთის არტილერიაც მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში.

16 ოქტომბერი

**სოფია.** მთავარმა საერთო კრების სესსიის დასაწყისს სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ბოლგარიას ყველა დიდს სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება აქვსო.

**ტულუზა.** ვალდეკ რუსსომ აქ დიდი პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვას ძალიან თანაგრძნობით მიეგებნენ.

**ოქსფორდი.** მაქს მიულლერი გარდაიცვალა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ აუწყებენ პაოტინფუდგან 7 ოქტომბრის რიცხვით, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარი მოვიდა დღეს აქ და მას დახვდნენ ფრანგნი, რომელთაც ქალაქის კარები უკვე

*) ეს დეპეშა პეტერბურგიდან გამოგზავნილია 13 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 ს. 16 წ.; ტფილისში-კი 15 ოქტომბერს დილით მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეპყროთ. გეზლიმ მოლაპარაკება გაჰმართა ადგილობრივ პროვინციის მოსამართლესთან, რომელიც დათანხმდა ქალაქის გარდაცემას. დღეს გეზლიმ ქალაქი დაათვალიერა და თან ახლდა დარაჯად 30 ცხენოსანი კაცი, რომელნიც ა-ჩეულნი იყვნენ ექსპედიციაში მონაწილე დიდ სახელმწიფოს ჯარებიდგან; შემდეგ სამხედრო თათბირი გაიმართა, რომელზედაც გარდაწყვეტილ იქმნა: დაიყოს ქალაქი ოთხ ნაწილად და ეს ნაწილები ჩაჰბარდეს დასაცველად ექსპედიციაში მონაწილე ოთხის ეროვნებისაგან ერთ-ერთის ჯარის-კაცებს რომელთაც უფროსად მაიორი ვინეკენი დაენიშნოთ. ხაზინაში 74,000 ტაელი აღმოჩნდა, რომელიც მოკავშირეებმა აიღეს. საფრანგეთის რაზმი, ტიანძინიდგან გამოსული, პაოტინფუში მოკავშირეთა ჯარზედ ხუთის დღით აღრე მოვიდა. გენერალი ვოიკო ბოტენი გამწესებული იყო ამ რაზმში და ებრძანა შეჩერებულიყო და მოეცადნა მოკავშირეთა დანარჩენ ჯარისათვის, მაგრამ რაზმს ვერ მოუწია. ტიანძინის რაზმის ცხენოსანი ჯარი დღეს მოვიდა, დანარჩენი ნაწილი-კი მხოლოდ ხვალ მოვა. იგი დაგვიანდა გზების ცუდის მდგომარეობის გამო.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, ვინც ჩემდა რწმუნებულს სასწავლებელს ფულით შემწეობა აღმოუჩინა. ფული შემოსწირეს: გრიგოლ ივანეს ძე ჯუღელმა 3 მან, ანტონ მოსესძე სულაქველიძემ 1 მან; ქრისტეფორე მაღლაქველიძემ სამი სკამი, ღირებული 1 მ. და 80 კაპ; მიხეილ კაპანაძემ ერთი სკამი, ღირებული 2 მან., მღ. ალექსი ცხადაძემ 2 მან; საჩინო ღიბრაძემ 2 მ. და 70 კაპ; ვლადიმირ კაკაურიძემ, ივანე კოვზირიძემ, ბესარიონ გვალიამ, ალფეზა კაკაურიძემ, გიორგი ქურაძემ, ერმილე ჯუღელმა, მოსე ბოჭორიშვილმა, სოფრომ კაპანაძემ, ფილიპე კაპანაძემ, ერმილე კაკაურიძემ, ლუარსაბ კამლაძემ, ანტონ გაბრიჩიძემ, სიმონა წაქაძემ, ლუკა შეოკვილაძემ, ერემია უკლებამ, მიხეილ სულაქველიძემ, ალექსი ცხადაძემ—ორ ორი მანეთი; ხახულა კოვზირიძემ, მალაქია ქულუხაძემ, ბესარიონ კაპანაძემ, ფარსადან ჩიგოგამ, გიორგი ცხადაძემ, მოსე ჯავახიანმა, ტარიელ კაკაურიძემ, სერაპიონ თუთარაშვილმა, ფარსადან კაპანაძემ, იონა კაპანაძემ, სოლომონ კაპანაძემ, ონისიმე ღიბრაძემ, ანთიმოზ გიორგაძემ, მათე ნიკაბაძემ, მიხეილ მალაღურაძემ, არტემი გეწაძემ, ასლან ღიბრაძემ, სარდიონ ღიბრაძემ, სილოვან რობაქიძემ, იოსებ კაკაურიძემ, ნიკოლოზ კაკაურიძემ, ოქროპირ გაჩეჩილაძემ, სვიმონ ნიქაბაძემ, ვასილ წაქაძემ, იაკობ ნიქაბაძემ, მიხეილ გიორგაძემ, როსაპ თუთარაშვილმა, დავით ხიხაძემ, თევდორე ქანდაველაძემ, მიხეილ ბოჭორიშვილმა, ათანა წაქაძემ, სპირიდონ ღიბრაძემ, მიხეილ კოვზირიძემ, ზებედე კაპანაძემ, ნესტორ ხიდაშელმა, გიორგი სულაქველიძემ, სვიმონ სულაქველიძემ, მაქსიმე კაკაურიძემ, ნიკიფორე სულაქველიძემ, დიმიტრი ჩიგოგამ, ერმილე გეწაძემ, დავით ჯუღელმა, ალექსი ღვანიძემ, ბეგლარ ჩხიკვაძემ, დავით დიასამიძემ, გიორგი კაპანაძემ, ფილიპე კაპანაძემ, ბიჭია კოხრაიძემა და ონისიმე კაპანაძემ თითომ 1 მან. და 35 კაპ..

სვირის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი თორნიკე გეგეშიძე.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

**შარქულ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:**

17 ოქტომბერს:

ვლადიმერ ახალშენიშვილისა, რომელსაც მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ლუკა ტაბატაძისა—ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე, გიორგი და რაჟდენ ჩიგოშვილებისა—ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

ანნა თავდგირიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

19 ოქტომბერს:

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

ილარიონ გოგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ამილბარ თომაშვილისა—სააქციზო წესის დარღვევა ბრალდება.

ნიკოლოზ მგელაძისა, რომელსაც განზრახ თავის სახლის დაწვა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ქანტურიძეებისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.


# განცხადებანი

## სკოლა და პანსიონი ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დრონიშვილისა, (10—188—10)



როიალები



პიანინო



ფის-ჰარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობა სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—6.—4)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-ცვიმოლის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—26)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его же | „ | 25 |
| Письма о грузіи. Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |
| საერო დღესასწაული | „ | 25 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | „ | 50 |
| ნელიო და პატრაში, საყმ. მოთხრობა | „ | 10 |
| თამარ მეფე, ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| მეცნიერებისათვის წამებულნი | 1 | „ |
| ლაზარილიო | „ | 10 |
| დედა ანდერსენისა | „ | 8 |
| ჩვენი ძველი გმირები, გ. წერეთლისა | „ | 30 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | „ | 40 |
| ისტორია ქართული სტამბისა | „ | 10 |
| უკვდავთა ღაღადებანი | „ | 15 |
| ქრისტინე, ნინოშვილისა | „ | 20 |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | „ | 40 |
| ოცი წლის წინეთ, გ. წერეთლისა | „ | 5 |
| ქნარი, გრ. ჩახრუხაძისა | „ | 20 |
| ჩანგი | 1 | „ |
| დამონებულნი, თარგ. თ. სახოკიასი | 1 | „ |

## სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელსაქმისას.

ტფილისი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმ ს სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(10—178—5)

გამოვიდა და იყიდება ძმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

## ფასი ჩანგი მანეთი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი“, ი. ჭავჭავაძისა; 2) „დაძმა“, ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ“. 4) „დაკეტილ კარებთან“. 5) „ავაზაკები“, შილლერისა და „შეშლილის წერილები“, გოგოლიდამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

## რვეულები

საუკეთესო ღირსებისა და განსხვავებული ფერ ს (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზედ დახაზული და მიუხედავად ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—8)

## სასწავლებელი და პანსიონი

## ა. ტერ-აკოფოვისა

შესდგება ერთის მოსამზადებელ და ოთხის გიმნაზიურ და რეალურ კლასებისაგან, რომელნიც პროგრამით მთავრობის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების იმავე კლასების პროგრამებს უდრის.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებისა, რეალურ სასწავლებლებისა, კადეტის კორპუსებისა, იუნკრის სასწავლებლებისა და სხ. სასწავლებლებში.

**სკოლაში ასწავლიან აგრეთვე მუსიკას, გალობას და ხატვას;**

ქართველ ბავშვებს ქართულ ენას განსაკუთრებითი მასწავლებელი ასწავლის უსასყიდლოდ.

ადრესი: განთვის ქუჩა, № 11, (ვაჟთა მესამე გიმნაზიის მახლობლად). (4—191—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე